სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ნაციონალიზმისა და ეთნიკურობის კვლევების სამაგისტრო პროგრამა

ა. პროგრამის სახელწოდება:	**ნაციონალიზმისა და ეთნიკურობის კვლევები** **Nationalism and Ethnicity Studies**
ბ. მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	**ნაციონალიზმისა და ეთნიკურობის კვლევების მაგისტრი** **MA in Nationalism and Ethnicity Studies**
გ. პროგრამის მოცულობა კრედიტებით:	120 ECTS კრედიტი;
დ. სწავლების ენა:	ქართული;
ე. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:	**კვალიფიციური სპეციალისტების მომზადება ნაციონალიზმისა და ეთნიკურობის სფეროში.**

პროგრამის მიზანია დააუფლოს სტუდენტი ნაციონალიზმისა და ეთნიკურობის კვლევის ძირითად თეორიულ, აგრეთვე ემპირიული კვლევის მასალის თავმოყრისა და ანალიზის მეთოდოლოგიურ საფუძვლებს. მას ასევე ეძლევა საშუალება, განსაზღვრული, ინდივიდუალური საკვლევი თემა და შესაბამისი გეგმა პრაქტიკულად შეუსაბამოს სამაგისტრო პროგრამას.

სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში სტუდენტს საშუალება მიეცემა, მიიღოს კომპეტენცია ნაციონალიზმისა და კულტურის კვლევებში, გამოკვეთოს და განსაზღვროს ინდივიდუალური კვლევითი ინტერესი. ამისათვის სტუდენტი აღიჭურვება ძირითადი სოციალური კატეგორიების – ერის, ეთნიკურობის, ეროვნული იდენტობისა და ნაციონალისტური იდეოლოგიის – და მათი სამეცნიერო ანალიზის ძირითადი მეთოდიკის ცოდნით. პროგრამის სავალდებულო და არჩევითი კურსები, ასევე სამაგისტრო ნაშრომი სტუდენტს საშუალებას აძლევს, გაიფართოოს თეორიული თვალსაწიერი, განავითაროს და დახვეწოს ანალიზისა და ინტერპრეტაციის უნარი, შეიძინოს და განამტკიცოს დამოუკიდებელი კვლევის ჩვევები.

ბუნებრივია, წახალისებული იქნება სამაგისტრო ნაშრომების თემად ქართული და კავკასიური პრობლემატიკის, ასევე მსგავს რეგიონებთან შედარებითი შესწავლის ფარგლებში შესრულებული კონკრეტული კვლევები, რომელზე მუშაობის პროცესში სტუდენტი გამოიყენებს შეძენილ თეორიულ ცოდნას, ემპირიული მასალის მოძიებისა და ანალიზის ხერხებს, ნაშრომი კი ორიგინალური და კვლევითი ხასიათისა იქნება.

კავშირი შრომის ბაზართან

პროგრამა ამზადებს სტუდენტებს შემდგომი კვლევისა და პრაქტიკული საქმიანობისათვის. კურსდამთავრებული უნდა ჩამოყალიბდეს ანალიტიკოსად და პრაქტიკოსად ნაციონალიზმისა და ეთნიკურობის კვლევათა სფეროში. მაგისტრის ხარისხის მქონეს შესაძლებლობა ექნება, იმუშაოს ამ პრობლემატიკით დაინტერესებულ სახელმწიფო, არასამთავრობო და კერძო სტრუქტურებში. მისი კომპეტენციის სფერო მოიცავს სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრას ეთნოსთაშორის ურთიერთობათა, ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის, კულტურის პოლიტიკის, ეთნოკონფლიქტების საფუძვლების იდენტიფიკაციის სფეროებში. გარდა პრაქტიკული საქმიანობისა, მაგისტრის ხარისხის მქონეს შეუძლია სწავლის გაგრძელება სხვადასხვა სადოქტორო პროგრამაზე ან მოკლევადიან სასწავლო და კვლევით პროგრამებში მონაწილეობა.

ვ. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

- მინიმუმ ბაკალავრის ხარისხი;
- საერთო სამაგისტრო გამოცდა;
- ინგლისური ენის B1 დონე ზე ცოდნა (გამოცდა ან შესაბამისი სერტიფიკატი);
- გამოცდა ნაციონალიზმსა და ეთნიკურობის კვლევებში.

სამაგისტრო პროგრამაზე შესაძლებელია 15–მდე სტუდენტის მიღება.

ზ. სწავლის შედეგი

ცოდნა და გაცნობიერება

პროგრამის დასრულების შემდეგ, კურსდამთავრებულს ექნება ღრმა და სისტემური ცოდნა შემდეგი მიმართულებებით:

- ნაციონალიზმის ძირითადი თეორიული მიმართულებები;
- ნაციონალიზმის ისტორიის მთავარი ეტაპები;
- ნაციონალიზმის სახეები ცალკეული ქვეყნებისა და რეგიონების მიხედვით;
- ეთნოსისა და ეთნიკური პროცესების თეორიული საფუძვლები;
- ნაციონალიზმისა და ეთნიკურობის კავშირი პოლიტიკურ კონფლიქტებსა და დაძაბულობებში;
- ნაციონალიზმის უარყოფითი შედეგების დაძლევის ძირითადი გზები.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

კურსდამთავრებული შეძლებს:

- ნაციონალიზმთან დაკავშირებულ კრიზისულ სიტუაციებში გარკვევასა და სწორად ორიენტირებას;
- ეთნიკური კონფლიქტების დარეგულირების საკითხებში საკუთარი წვლილის შეტანას;
- მრავალეთნიკურ გარემოში წარმატებით ადაპტაციასა და მუშაობას;
- როგორც ინდივიდუალური, ისე გუნდური მუშაობის წარმართვას

დასკვნის უნარი:

კურსდამთავრებული შეძლებს საკუთარი პოზიციის არგუმენტირებას, კვალიფიციურ ოპონირებასა და დასაბუთებული დასკვნების გამოტანას.

კომუნიკაციის უნარი:
კურსდამთავრებული შეძლებს ვერბალურ და წერით კომუნიკაციას შესაბამის სფეროში როგორც ქართულ, ისევე უცხო ენაზე; შეძლებს დაიცვას საკუთარი პოზიცია საჯარო დისკუსიებზე და წერილობით პოლემიკაში ეთიკისა და კამათის კულტურის სრული დაცვით.

სწავლის უნარი:
კურსდამთავრებულს გამოუმუშავდება დამოუკიდებელი სწავლისა და ათვისებული ცოდნის სხვისთვის გადაცემის უნარი.

ღირებულებები:
კურსდამთავრებული გააცნობიერებს ნაციონალიზმის ძირითად დადებით და უარყოფით ღირებულებებს. ზოგადსაკაცობრიო და ეროვნულ ღირებულებათა ურთიერთმიმართებას, ხელს შეუწყობს მათ დამკვიდრებასა და გავრცელებას შემდგომი საქმიანობის პროცესში.

თ. სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები

- ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი;
- სასწავლო მასალაზე დამოუკიდებლად მუშაობის მეთოდი;
- წერითი მუშაობის მეთოდი: მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის, ესსეს შესრულება, და ა.შ.;
- დისკუსია, თემების ჯგუფური ანალიზის მეთოდი.

ი. სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა;
სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით; მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა; შეფასება ხორციელდება მინიმუმ ოთხი კომპონენტის მიხედვით. შეფასების კრიტერიუმები მოცემულია კონკრეტულ სილაბუსებში. შეფასების გრადაცია შემდეგნაირია:

100–91	ფრიადი, A
90– 81	ძალიან კარგი, B
80 –71	კარგი, C
70 –61	დამაკმაყოფილებელი, D
60 –51	საკმარისი, E
50- 41	ვერ ჩაბარა, FX
40- 0	ჩაიჭრა, F

კ. სასწავლო გეგმა, სწავლების ორგანიზების თავისებურებების მითითებით (იხ დანართი #1).

ლ. პროგრამის ხელმძღვანელი : ზურაბ დავითაშვილი: სოციალურ–პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სრული პროფესორი. საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების ხელმძღვანელი

მ. ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსების შესახებ დანართის სახით; სასწავლო პროცესისათვის გამოიყენება თსუ - ს II და IV კორპუსის აუდიტორიები, ფაკულტეტის კომპიუტერული ბაზა, ბიბლიოთეკა და ინვენტარი.
უნივერსიტეტის რესურს-ცენტრები;
თსუ ელექტრონული სწავლების პორტალი;
ელექტრონული ჟურნალები და ბაზები;
უნივერსიტეტისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბილიოთეკა;
სტუდენტის რეგისტრაციისა და სასწავლო პროცესის მართვის საუნივერსიტეტო ქსელი.

პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა: სამაგისტრო პროგრამის ფინანსურ უზრუნველყოფას ახდენს თსუ.

ნ. დასაქმების სფეროები: კურსდამთავრებულები შესაძლებელია დასაქმდნენ საჯარო სამსახურში (რეინტეგრაციის, საგარეო საქმეთა, შინაგან საქმეთა სამინისტროები, საქართველოს პარლამენტი, მთავრობის კანცელარია, რეგიონული და ადგილობრივი მმართველობის ორგანოები),

სამეცნიერო დაწესებულებებში, არასამთავრობო ორგანიზაციებში და კერძო სექტორში.

ო. სწავლის გაგრძელების საშუალება: სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგი უზრუნველყოფს კურსდამთავრებულის შემდგომ საფეხურზე - დოქტორანტურაში სწავლის გაგრძელების საშუალებას.

სასწავლო გეგმა

უნივერსიტეტი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ფაკულტეტი: სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა

მიმართულება: საერთაშორისო ურთიერთობები

სასწავლო პროგრამის სახელწოდება: ნაციონალიზმისა და ეთნიკურობის კვლევები

სწავლების საფეხური: მაგისტრატურა

სასწავლო პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი: პროფესორი ზურაბ დავითაშვილი

აკადემიური საბჭოს მიერ სასწავლო პროგრამის დამტკიცების თარიღი, დადგენილების ნომერი: №57/2011, დანართი 66

პროგრამაში განხორციელებული ცვლილებები (თსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილების ნომერი და თარიღი): დადგენილება № 17/2014-19 თებერვალი, 2014; დადგენილება № 20/2014-26 თებერვალი, 2014; დადგენილება №100/2014-30 სექტემბერი, 2014; დადგენილება №68/2015 - 6 ივლისი, 2015; დადგენილება № 22/2016 - 19 თებერვალი, 2016; დადგენილება №21/2017 - 20 თებერვალი, 2017; დადგენილება № 90/2017 - 25 ივლისი, 2017

სასწავლო პროგრამის ამოქმედების თარიღი (სასწავლო წელი): 2012-2013

პროგრამის სტრუქტურა

პროგრამის სავალდებულო კურსები/მოდულები - 40 კრედიტი (ECTS) + სამაგისტრო ნაშრომი 30 კრედიტი (ECTS)										
№	სასწავლო კურსის დასახელება	კრედიტების რაოდენობა (ECTS)	სტუდენტის საკონტაქტო მუშაობის საათები სემესტრში			სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის საათები სემესტრში	საგანზე დაშვების წინაპირობა	სწავლების სემესტრი		ლექტორი/ ლექტორები
			ლექცია	სამუშაო ჯგუფი/ პრაქტიკუმი	ფაილიდერი და დასკვნითი გამოცდები			შემოდგომა	გაზაფხული	
1	შესავალი ნაციონალიზმის	5	15	15	5	90	წინაპირობის გარეშე	✓		დავით მაცაბერიძე

	კვლევებში									
2	შესავალი ეთნიკურობისა და კულტურის კვლევებში	5	30	30	5	60	წინაპირობის გარეშე	✓		ნინო ჩიქოვანი
3	ნაციონალიზმი: თეორია და პრაქტიკა	5	15	15	5	90	წინაპირობის გარეშე		✓	დავით მაცაბერიძე
4	აკადემიური წერა	5	15	15	5	90	წინაპირობის გარეშე	✓		ირაკლი ჩხაიძე
5	სამაგისტრო ნაშრომის დიზაინი	5	15	15	5	90	წინაპირობის გარეშე	✓		ირაკლი ჩხაიძე
6	ნაციონალიზმი, ეთნოკონფლიქტები და მშვიდობის შენარჩუნება	5	15	15	5	90	წინაპირობის გარეშე		✓	ზურაბ დავითაშვილი
7	ქართული იდენტობა	5	15	15	5	90	წინაპირობის გარეშე	✓		დავით მაცაბერიძე
8	ქართული ნაციონალიზმის ისტორია	5	15	15	5	90	წინაპირობის გარეშე	✓		ირაკლი ჩხაიძე
9	სამაგისტრო ნაშრომი	30	-	-	-	-	ყველა სავალდებეულო კურსის გავლა	✓	✓	
პროგრამის არჩევითი კურსები/მოდულები - 40 კრედიტი (ECTS)										
1	ეთნიკური უმცირესობების პრობლემებიპოსტსოციალისტურ სივრცეში: შედარებითი ანალიზი (ბალკანეთი და კავკასია)	5	15	15	5	90	წინაპირობის გარეშე	✓		დავით მაცაბერიძე
2	რეგიონალური უსაფრთხოება და კონფლიქტები სამხრეთ კავკასიაში	5	30	15	6	74	წინაპირობის გარეშე	✓		დავით მაცაბერიძე მიხეილ შავთვალაძე
3	კავკასიის კონფლიქტები (დიპლომატიისა და საერთაშორისო პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამიდან)	5	15	15	5	90	წინაპირობის გარეშე	✓		დავით მაცაბერიძე
4	პატარა ქვეყნები საერთაშორისო პოლიტიკაში (დიპლომატიისა და საერთაშორისო პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამიდან)	5	15	15	5	90	წინაპირობის გარეშე		✓	თორნიკე თურმანიძე

5	ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკური პრობლემები (დიპლომატიისა და საერთაშორისო პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამიდან)	5	15	15	5	90	წინაპირობის გარეშე	✓		ზურაბ დავითაშვილი ანი კვირიკაშვილი
6	ლათინური ამერიკა მსოფლიო პოლიტიკაში (დიპლომატიისა და საერთაშორისო პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამიდან)	5	15	15	4	91	წინაპირობის გარეშე	✓		ფიქრია ასანიშვილი სოფიკო ალავერდაშვილი
7	კონფლიქტი აფხაზეთში (დიპლომატიისა და საერთაშორისო პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამიდან)	5	15	15	5	90	წინაპირობის გარეშე	✓		სერგი კაპანაძე ლევან გერაძე
8	გლობალიზაცია და გლობალური პრობლემები (დიპლომატიისა და საერთაშორისო პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამიდან)	5	15	15	5	90	წინაპირობის გარეშე	✓	✓	ზურაბ დავითაშვილი
9	გეოპოლიტიკა და ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების გეოგრაფია (საზოგადოებრივი გეოგრაფიის სამაგისტრო პროგრამიდან)	5	15	30	5	75	წინაპირობის გარეშე	✓		გიორგი გოგსაძე
10	გლობალიზაცია და კულტურა	5	15	15	5	90	წინაპირობის გარეშე		✓	მაია ქვრივიშვილი
11	ინტერკულტურული კვლევები	5	15	15	5	90	წინაპირობის გარეშე		✓	ქეთევან კაკიტელაშვილი
12	ისტორიული პროცესი და კულტურის კვლევები: მეთოდოლოგიური საფუძვლები	5	15	15	5	90	წინაპირობის გარეშე		✓	ნინო ჩიქოვანი
13	კოლექტიურიური მეხსიერება და იდენტობის პოლიტიკა	5	30	30	5	60	წინაპირობის გარეშე		✓	ნინო ჩიქოვანი
14	კულტურა და რელიგია კავკასიაში	5	15	15	5	90	წინაპირობის გარეშე	✓		ნინო ჩიქოვანი
15	კულტურის პოლიტიკის საფუძველი	5	15	15	5	90	წინაპირობის გარეშე		✓	ქეთევან კაკიტელაშვილი
16	ნაციონალიზმის კლასიკური	5	15	15	5	90	წინაპირობის გარეშე	✓		დავით მაცაბერიძე

	თეორიები									
17	პოლიტიკური კონფლიქტების მართვა (პოლიტიკის მეცნიერების სამაგისტრო პროგრამიდან)	5	15	15	5	90	წინაპირობის გარეშე		✓	ალექსანდრე კუხიანიძე
18	საქართველო პოსტ-საბჭოთა ტრანზიციის პერიოდში (პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ასპექტები)	5	15	15	5	90	წინაპირობის გარეშე	✓		დავით მაცაბერიძე
19	ეთნიკური და კულტურის გეოგრაფია	5	15	15	6	89	წინაპირობის გარეშე		✓	გიორგი კვინიკაძე
20	პოსტ საბჭოთა ქვეყნების ნაციონალური იდენტობა და საგარეო პოლიტიკა (ევრაზიისა და კავკასიის კვლევების სამაგისტრო პროგრამიდან)	5	15	15	6	89	წინაპირობის გარეშე		✓	ფიქრია ასანიშვილი
21	უმცირესობების და უმრავლესობების ნაციონალიზმი კავკასიაში: ელიტების მანიპულაციის კონტექსტში	5	15	15	5	90	წინაპირობის გარეშე		✓	დავით მაცაბერიძე
22	ქართული ნაციონალიზმი მსოფლიო პოლიტიკის კონტექსტში	5	15	15	6	89	წინაპირობის გარეშე		✓	კონსტანტინე შუბითიძე
23	ეთნოპოლიტიკური კონფლიქტები პოსტ-სოციალისტურ სამყაროში	5	15	15	5	90	წინაპირობის გარეშე		✓	ნინო ოხანაშვილი
24	ნაციონალიზმი და დემოკრატია (პოლიტიკის მეცნიერების სამაგისტრო პროგრამიდან)	5	15	30	5	75	წინაპირობის გარეშე	✓		დავით მაცაბერიძე
თავისუფალი კურსები/მოდულები - 10 კრედიტი (ECTS) **პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტებს რეკომენდაცია ეძლევათ პროგრამის ხელმძღვანელთან კონსულტაციის საფუძველზე 10 თავისუფალი კრედიტი შეარჩიონ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ან/და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე მოქმედი ნებისმიერი სამაგისტრო პროგრამიდან.**									

სასწავლო პროგრამის ხელმძღვანელის ხელმოწერა: _____
ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა: _____
ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ხელმოწერა: _____
ფაკულტეტის დეკანის ხელმოწერა: _____
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა: _____
თარიღი: _____

ფაკულტეტის ბეჭედი